ხელშეკრულება ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შესახებ
#MDF/D/NCS/008-2016

ქ. თბილისი 18 იანვარი 2016 წ.

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი" წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ჯუანშერ ბურჭულაძის სახით, შემდეგში წოდებული როგორც "შემსყიდველი" და შპს „მათემოტორსი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ გელავას სახით, შემდეგში წოდებული როგორც "მიმწოდებელი", საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
"გონივრული ვადა" - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ბრალეული გაჭიანურების გარეშე, კეთილსინდისიერებისა და გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, ფიზიკურად შესაძლებელია ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული მომსახურების შეთანხმებული ხარისხითა და მოცულობით განხორციელება.
"სამუშაოს მიღება" - შემსყიდველის დავალებით მიმწოდებელს მიერ განხორციელებული მომსახურების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, შეთანხმებულ ადგილზე და წესით.
"ხარისხი" - პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულია მხარეთა მიერ.
"ხელშეკრულების საგანი" - შემსყიდველის დავალებით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელის მიერ შემსყიდველის მიერ წარდგენილ სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად შესრულებული სამუშაო.
"დროული გაფრთხილება" - წერილობითი შეტყობინება ამ შეტყობინების წარმოშობიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა ან მხარეთა შორის შეთანხმებულ სხვა ვადაში.

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთებისას; (CPV 50112200).
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველი ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე წარუდგენს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალებას/საშუალებებს, ხოლო მიმწოდებელი ახდენს სატრანსპორტო საშუალების შეკეთებას შეთანხმებული მოცულობითა და რაოდენობით;
1.3. ავტომანქანა, მოდელი: ერთი ერთეული მიცუბიში ლ200, გამოშვების წელი 2012 (სახელმწიფო ნომერი BB-448-VV, VIN: MMBJNKB40DD010800);
1.4 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი მომსახურების პრეისკურანტი მოცემულია დანართში №1, რომელიც მოიცავს, როგორც მომსახურების, ისე სათადარიგო ნაწილების ღირებულებას.

2. ანგარიშსწორების წესი
2.1. შემსყიდველის მიერ ანგარიშწორება ხორციელდება მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
2.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახდენს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების ფასი
3.1. ხელშეკრულების მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 1800.00 (ათას რვაასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4. განსაკუთრებული პირობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სატრანსპორტო საშუალება სამუშაოთა შესრულების შემდეგ დაუყოვნებლივ.
4.2. სატრანსპორტო საშუალების გადაცემასთან ერთად შემსყიდველზე გადადის საგნის შემთხვევითი დაღუპვისა და დაზიანების რისკი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
5.2. თითოეული მხარე ვალდებულია ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში. ამასთან, თითოეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდბეულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ იზრუნოს და უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა;
5.3. მხარეები ცნობენ და აღიარებენ დოკუმენტებს, რომლებიც მათ მიერ შეთანხმებული ფორმით მიღებულია ფოსტით, მათ შორის ელექტრონულით, ფაქსით. აუცილებლობის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტების ორგინალები.

6. დავის მოწესრიგება

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესურლების პროცესში წარმოშობილი ყველა უთანხოება უნდა მოწესრიგდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით;
6.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკებით, მისი გადაწყვეტა ხდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღეს და მოქმედებს 2017 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.
7.2. მომსახურების მიწოდება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები და მიღება-ჩაბარების პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული მომსახურება შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს წინამდებარე ხელშეკრულების 8.4. პუნქტით გათვალისწინებული პირები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
8.3. იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს წინამდებარე ხელშეკრულების 8.4. პუნქტით გათვალისწინებული პირი ადგენს შესაბამის ინსპექტირების აქტს, რომელშიც ასახული უნდა იყოს თუ რა პირობები იქნა მიმწოდებლის მიერ დარღვეული.
8.4. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას და მიწოდებული მომსახურების მიღებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომლები ზურაბ ცქვიტიშვილი ან გიორგი მაჩიტაძე.
8.5. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
8.6. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. საქონლის/მომსახურების ხარისხი და გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი და მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ამასთანავე წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება შეწყვიტოს ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

<u>შემსყიდველი:</u>	<u>მიმწოდებელი:</u>
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	შპს „მათემოტორსი“
განვითარების ფონდი	ი.მის: თბილისი, მტკვრის მარჯ. სანაპირო
ს/კ: 206 074 193	ს.კ: 204470063
მის: ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი 150	სს “ბანკი რესპუბლიკა”,
სახელმწიფო ხაზინა;	კოდი № REPLGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში;	ა/ა GE53BR0000 0109 7796 8548
ბანკის კოდი: TRESGE22	
ჯუანშერ ბურჭულაძე	ავთანდილ გელავა
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი

დანართი №1

საგარანტიო ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ფასების ცხრილი

მიცუბიში ლ-200 2.5 - დიზელი

N	ნაწილის დასახელება	რაოდენობა	სათადარიგო ნაწილის ერთეულის ფასი (ლარი)	ერთეული მომსახურების ფასი (ლარი)
1	ამორტიზატორი უკანა	1 ცალი	260,00	40,00
2	ამორტიზატორი წინა	1 ცალი	290,00	40,00
3	ანტიფრიზი (კონცენტრატი)	1 ლიტრი	15,00	20,00
4	გადაბმულიბის ქურო	1 ცალი	500,00	250,00
5	გადაბმულობის დამწოლი საკისარი	1 ცალი	220,00	
6	გადაბმულობის დისკი	1 ცალი	370,00	
7	გადაბმულობის ზედა ავზი	1 ცალი	180,00	40,00
8	გადაბმულობის ქვედა ავზი	1 ცალი	140,00	40,00
9	გადაცემათა კოლოფის მ/დ	1 ცალი		250,00
10	გადაცემათა კოლოფის დ/ა	1 ცალი		450,00
11	გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიში	1 ცალი	200,00	40,00
12	გადაცემათა კოლოფის ზეთი	1 ლიტრი	24,00	15,00
13	გამშვები კოლექტორის საფენი	1 ცალი	180,00	300,00
14	გენერატორის ღვედი	1 ცალი	120,00	20,00
15	გენერატორის ღვედის ამყოლი გორგოლაჭი	1 ცალი	220,00	60,00
16	გენერატორის ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი	1 ცალი	330,00	60,00
17	დაკიდების ზედა ბერკეტი (სრული კომპლექტაცია)	1 ცალი	500,00	50,00
18	დაკიდების ზედა ბერკეტი (კომპლექტაციის გარეშე)	1 ცალი	230,00	50,00
19	დაკიდების ზედა ბერკეტის მილისა	1 ცალი	60,00	
20	ბურთულა სახსარი ზედა	1 ცალი	80,00	
21	დაკიდების ქვედა ბერკეტის მილისა	1 ცალი	90,00	50,00
22	ბურთულა სახსარი ქვედა	1 ცალი	120,00	
23	დიზელის გამათბობელი სპირალი	1 ცალი	120,00	40,00
24	ელექრტო გაყვანილობის სისტემის სრული აღდგენა	1 ცალი		800,00
25	ელექტრო სისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკა	1 ცალი		30,00
26	თვლების განშლისა და შეყრის კუთხის გასწორება	1 ცალი		25,00
27	კონდიციონერის ღვედი	1 ცალი	120,00	20,00
28	მაჩვენებლების დაფის ნათურა	1 ცალი	5,00	25,00
29	მინის მწმენდი წინა	1 კომპ.	50,00	5,00
30	მინის მწმენდის ყინვაგამძლე სითხე (კონცენტრატი)	1 ლიტრი	15,00	
31	მორგვი (კომპლექტი)	1 ცალი	600,00	60,00
32	მფრქვევანა	1 ცალი	1400,00	60,00
33	მფრქვევანას აღდგენა	1 ცალი		450,00
34	ნახევარღერძის მ/დ	1 ცალი		120,00
35	ნახევარღერძის საკისარი	1 ცალი	150,00	150,00
36	ნახევარღერძის ჩობალი	1 ცალი	70,00	120,00
37	რესორი	1 ცალი	1200,00	80,00
38	რესორის მილისა წინა	1 ცალი	50,00	20,00
39	რესორის დამჭერი (სტრემიონკა)	1 ცალი	50,00	15,00
40	დისკის გასწორება	1 ცალი		30,00
41	საბურავის მ/დ	1 ცალი		2,00
42	საბურავის დ/ა	1 ცალი		3,00
43	საბურავის ბალანსირება	1 ცალი		6,00
44	საბურავის შეკეთება	1 ცალი		15,00
45	საბურავის ქანჩი სარჭი	1 ცალი	30,00	25,00
46	სავალი ნაწილის დათვალიერება	1 ცალი		10,00
47	სავალი ნაწილის შეპოხვა	1 ცალი		25,00
48	წინა საყრდენი დისკი	1 ცალი	250,00	25,00
49	წინა საყრდენი დისკის მოხეხვა	1 ცალი		25,00
50	სუპორტი	1 ცალი	700,00	15,00
51	სამუხრუჭე სითხე	1 ლიტრი	15,00	50,00
52	სამუხრუჭე სისტემის გამორეცხვა,დაჰაერება	1 ცალი		30,00
53	სამუხრუჭე ხუნდი წინა	1 კომპ.	170,00	15,00
54	სამუხრუჭე ხუნდი უკანა	1 კომპ.	220,00	50,00

55	საწვავის ავზის მ/დ გამორეცხვა	1 ცალი		180,00
56	საწვავის მილების გაწმენდა	1 ცალი		70,00
57	საწვავის ფილტრი	1 ცალი	60,00	20,00
58	საწვავის ტუმბო	1 ცალი	2300,00	350,00
59	საწვავის ტუმბოს მ/დ	1 ცალი		350,00
60	საჭის გამაძლიერებელი ტუმბო	1 ცალი	1400,00	100,00
61	საჭის გამაძლიერებელის ზეთი	1 ლიტრი	22,00	15,00
62	საჭის მექანიზმი	1 ცალი	1600,00	140,00
63	საჭის მექანიზმის აღდგენა	1 ცალი		350,00
64	საჭის მექანიზმის ტუმბოს ავზი	1 ცალი	450,00	15,00
65	საჭის წევა	1 ცალი	60,00	15,00
66	საჭის წევის დაბოლოება	1 ცალი	50,00	15,00
67	საჭის წევის მტვერდამცავი	1 ცალი	35,00	15,00
68	ტურბოკომპრესორი	1 ცალი	4000,00	200,00
69	ტურბოკომპრესორის აღდგენა	1 ცალი		1800,00
70	ფრეონი	1 გრ.	0,15	30,00
71	ყუმბარა კომპლექტში	1 ცალი	1500,00	70,00
72	ყუმბარის მტვერდამცავი გარეთა	1 ცალი	40,00	70,00
73	ყუმბარის მტვერდამცავი შიდა	1 ცალი	40,00	70,00
74	ძრავის ამოღება/ჩადგმა	1 ცალი		600,00
75	ძრავის დაშლა/აწყობა	1 ცალი		800,00
76	ძრავის თავაკის შემოწმება	1 ცალი		110,00
77	ძრავის თავაკის მოხეხვა	1 ცალი		140,00
78	ძრავის თავაკის საფენი	1 ცალი	120,00	300,00
79	ძრავის კლაპნების რეგულირება	1 ცალი		12,00
80	ძრავის ზეთი სინთეტიკური	1 ლიტრი	18,00	10,00
81	ძრავის ზეთის ფილტრი	1 ცალი	25,00	
82	ძრავის თავსახურის (კრიშკის) საფენი	1 ცალი	110,00	50,00
83	ძრავის საყრდენი ბალიში	1 ცალი	140,00	45,00
84	ძრავის ჩობალი წინა	1 ცალი	50,00	70,00
85	ძრავის CO–ზე შემოწმება	1 ცალი		25,00
86	უკანა მაშუქის ნათურა	1 ცალი	7,00	5,00
87	წინა მაშუქის ნათურა (ჰალოგენი)	1 ცალი	17,00	7,00
88	წინა ფარების რეგულირება	1 ცალი		30,00
89	სტაბილიზატორის კრონშტეინი (სტერჟინი , ლინკი)	1 ცალი	100,00	15,00
90	მშრალი ამორტიზატორის მილისა	1 ცალი	30,00	15,00
91	წყლის რადიატორი	1 ცალი	950,00	100,00
92	ხიდის ზეთი	1 ლიტრი	30,00	15,00
93	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	30,00	5,00

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი
ს/კ: 206 074 193

ჯუანშერ ბურჭულაძე
აღმასრულებელი დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს "მათემოტორსი"
ს.კ: 204470063

ავთანდილ გელაგა
დირექტორი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 18 იანვარი 2016 წ.

ვადასტურებთ, რომ შპს „მათემოტორსი-ს მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი

ჯუანშერ ბურჭულაძე ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის უფროსი

ირაკლი ფარესიშვილი ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი

ნესტორ ფაცაცია ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის,
ადმინისტრაციის სამსახურის ტექნიკური
უზრუნველყოფის სპეციალისტი

ზურაბ ცქვიტიშვილი ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის,
ადმინისტრაციის სამსახურის ტექნიკური
უზრუნველყოფის სპეციალისტი

გიორგი მაჩიტაძე ----------

87-მ-3-201601141053

N 87-მ 14/01/2016

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორის პირველ მოადგილეს
ბატონ თორნიკე თორაძეს

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"-ს მიერ მგფ-ს კუთვნილი ავტომობილის სრული ზარალის ფარგლებში ჩანაცვლებული და გარანტიაზე მყოფი 1 ერთეული „მიცუბიში ლ200"-ის მოდელის ავტომობილისათვის (სახ/ნომრით BB-448-VV) გვესაჭიროება 2016 წლის განმავლობაში შპს „მათე მოტორსი"-ს პროფილაქტიკური მომსახურების დაქირავება.

საკონტრაქტო თანხა 1800,0 (ერთი ათას რვაასი) ლარი, დაფინანსების წყარო მგფ-ს საკუთარი სახსრები.

მოხსენებით ბარათს თან ახლავს, მომსახურების გაფასებული ჩამონათვალი.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს განახორციელოს აღნიშნული ორგანიზაციის მომსახურების დაქირავებისათვის საჭირო პროცედურები.

დავით გოგლიძე

ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი

ადმინისტრაციის სამსახური